

changes that is caused by the virus itself, clinicians are still facing processes left even after HCV cure – liver fibrosis/cirrhosis, concomitant complications (variceal bleeding, ascites), HCC, etc.

The aim of our study was to reveal dynamics of the functional state of the liver and factors associated with regression of liver fibrosis/cirrhosis in patients undergoing hepatitis C treatment with different treatment regimens in the frame of hepatitis C elimination program in Georgia. 56 (56%) patients out of 100 HCV infected patients had genotype 1, 16 (16%) genotype 2, 28 (28%) -genotype 3. AntiH-Bc (total) appeared in 8 cases, without HBsAg (past infection). Fibrosis stage 3 was confirmed in 36 (36%) and fibrosis stage 4 – in 64 (64%) cases, the latter's where Child - Pugh A stages. Antiviral therapy was done according to AASLD treatment guidelines. Liver inflammation markers (ALT, AST) were normalized on treatment week 4. Liver fibrosis stage decreased markedly in those achieving SVR.

Thus, it is obvious, that hepatitis C is a curable disease already, SVR greatly depends on early antiviral therapy initiation which assures regression of pathologic changes caused by the virus.

მოკლე სამეცნიერო მიმოხილვა

ვაშაკიძე ე., მეგრელიშვილი თ., ყიფიანი ნ., მიქაძე ი., პაჭკორია ე.

ვირუსული გასტროენტერიტიზი მოზრდილებში

თსსუ, ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი

თანამედროვე ეტაპზე ინფექციური დიარეები (მწვავე გასტროენტერიტი, ნაწლავთა მწვავე ინფექცია) კვლავ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება როგორც განვითარებადი, ისე განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვისათვის და მასობრივი ინფექციური დაავადებების პირველ ხუთეულში შედის. მწვავე გასტროენტერიტი კლინიკაში მიმართვის და ხშირ შემთხვევაში ჰოსპიტალიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ხშირი მიზეზია, მწვავე რესპირატორული ინფექციების შემდეგ ყველა ასაკობრივი კონტიგენტისთვის [3, 4].

ცნობილია, რომ მწვავე გასტროენტერიტების ეტიოლოგიური სტრუქტურა მრავალფეროვანია. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში იგი მნიშვნელოვნად შეიცვალა და კლასიკურ, ტრადიციულ ბაქტერიულ პათოგენებთან ერთად, ეტიოლოგიურ აგენტებად გვევლინება სხვადასხვა ვირუსები, როგორცაა როტავირუსები, ნოროვირუსები (ნორვულკის აგენტი), კალიცივირუსები და სხვა. 1970-იან წლებში ნორვულკისა და როტავირუსების აღმოჩენამ ცხადყო, რომ ინფექციური გასტროენტერიტების ეტიოლოგიურ აგენტთა შორის ვირუსებს დიდი ადგილი უჭირავთ. ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე ოთხი ვირუსული აგენტი ასოცირდა მწვავე გასტროენტერიტებთან: სამი რნმ ვირუსი (rotavirus, norovirus, astrovirus) და ერთი დნმ ვირუსი

(enteric adenovirus) [1, 2, 4].

ეპიდემიოლოგიური მონაცემებით, აშშ-ში მოზრდილთა მწვავე გასტროენტერიტებით წლიური ავადობის მაჩვენებელი 179 მილიონს, ჰოსპიტალიზაცია 500 000-ს, ხოლო ლეტალობა 5000-ს აღწევს. მწვავე გასტროენტერიტების ეტიოლოგიურ სტრუქტურაში 50-80% ვირუსულ გამოწვევებს ენიჭებათ. მათ შორის წამყვანი როლი როტავირუსებს ეკუთვნით, რომლებიც ბავშვთა ჰოსპიტალიზაციას განაპირობებენ 29-45%- ში. აშშ-ში 2006 წლამდე, ბავშვთა კონტიგენტში ყოველწლიურად აღირიცხებოდა 500 000 მწვავე გასტროენტერიტით განპირობებული ამბულატორიული ვიზიტი, მათ შორის 55 000 ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა, 30 ლეტალური გამოსავლით. 5 წლამდე ბავშვთა კონტიგენტში როტავირუსული ვაქცინაციის შემდეგ ავადობის მაჩვენებელი შემცირდა 50%-ით. მაღალია ვირუსული გასტროენტერიტით ავადობის სიხშირე ევროპის ქვეყნებშიც. მოლეკულურ-ბიოლოგიური მეთოდით (PCR) გამოვლენილ იქნა როტავირუსების და ნოროვირუსების ეტიოლოგიური როლი რამდენიმე ეპიდემიოლოგიურ შემთხვევაში, რომელიც სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში, მოხუცთა თავშესაფარში, დახურულ კოლეჯებში (კრუიზის ლაინერებზე) განვითარდა და საკვები პროდუქტების (ზღვის პროდუქტი), არაკეთილსაიმედო წყლის და საზოგადოებრივი კვების ნაწარმის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული [3].

როტავირუსული მწვავე გასტროენტერიტით ავადობის ასეთ მაღალ სიხშირეს სტანდარტული სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებების უეფექტობა განაპირობებს, რადგან გამოყენებული დეზინფექტანტების მიმართ როტავირუსები რეზისტენტობას ავლენენ (შემთხვევათა 55-68%-ში). როტავირუსები არამარტო მწვავე დიარეების წამყვანი ეტიოლოგიური აგენტებია, არამედ სავადმყოფოსშიდა დიარეების ძირითად მიზეზს წარმოადგენენ კლოსტრიდიებთან ერთად. სწორედ ამიტომ სტაციონარში 6 წლის ზევით ასაკოვან ჯგუფის პაციენტების ლეტალობის ყველაზე ხშირ მიზეზად კლოსტრიდია დიფიცილეს გამოწვეულ ანტიბიოტიკასოცირებულ დიარეასთან ერთად, როტავირუსული მწვავე გასტროენტერიტი გვევლინება (83%). ბოლო ათწლეულში საქართველოში ინფექციური დიარეებით ავადობის სიხშირე კვლავ მაღალია, რაც განპირობებულია ბოლო პერიოდისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ეკონომიკური ძვრებით და სუბტროპიკული არეალის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებით [4].

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შრომის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე ეტაპზე ინფექციური დიარეების ეტიოლოგიური სტრუქტურის შესწავლა, კლინიკური და ეპიდემიოლოგიური თავისებურებების გამოვლენა ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის კლინიკური მასალის მიხედვით. 2017-2018 წლებში ინფექციური დიარეით ჰოსპიტალიზებული იყო 2452 მოზრდილი პაციენტი, მათ შორის საღმონელოზები შეადგენდა — 3.7% (92), შიგელოზები — 1.8% (46), ნაწლავთა ამეზიზი — 1.5% (38), ეშერიხიოზები — 0.1% (3). როტავირუსული გასტროენტერიტი დიაგნოსტირებული იყო 2.4% (60)

შემთხვევაში. პაციენტთა უმეტესობა დეკემბერ-თებერვლის თვეში იყო ჰოსპიტალიზებული (90%). როტავირუსული გასტროენტერიტების დიაგნოსტიკა ხდებოდა ქრომატოგრაფიული მეთოდით ვირუსის ანტიგენის დეტექციით ფეკალურ მასაში. ყველა შემთხვევაში დაავადება იწყებოდა ფებრილური ცხელებით და გასტროენტერიტის სინდრომით. წამყვანი სიმპტომი იყო თხიერი, წყლისებრი ფეკალური მასებით გახშირებული დეფეკაცია, მუცლის არეში მჭრელი, შეტევითი ხასიათის ტკივილი, რომელიც ძირითადად ლოკალიზებული იყო ეპიგასტრიუმის და მეზოგასტრიუმის არეში. დიარეის სიხშირე მერყეობდა 5-15-მდე ან 15-20-ჯერ 24 საათში. ინტოქსიკაციური სინდრომი ხასიათდებოდა თავბრუსხვევით, თავის ტკივილით. პაციენტთა 1/3-ს აღენიშნებოდა კატარული სიმპტომები სურდოს, ყლაპვის დროს ტკივილის და ხახის ჰიპერემიის გამოვლენით. საშუალო სიმძიმით მიმდინარე შემთხვევებში დიარეის კუპირება 3-4 დღეში ხდებოდა. შედარებით მძიმე მიმდინარეობას განაპირობებდა ექსიკოზის და ტოქსოზის სიმპტომების გახანგრძლივება 4-5 დღეზე მეტად, 65 წლის ზევით პაციენტთა ასაკობრივ ჯგუფში, რომელთაც პრემორბიდული ფონი დამძიმებული ჰქონდათ სხვადასხვა ქრონიკული პათოლოგიით (გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტონული სნეულება, შაქრიანი დიაბეტი). დაავადების მიმდინარეობაში ვლინდებოდა ექსიკოზის გაღრმავება დიურეზის საგანგაშო შემცირებით, ჰემოდინამიკის გაუარესებით, მეტაბოლური მაჩვენებლების დესტაბილიზაციით. ყველა შემთხვევაში სამკურნალო ტაქტიკაში გამოიყენებოდა პერორალური-ინფუზიური რეჰიდრატაციის მეთოდი, რეჰიდრატაციულ-დეჰინტოქსიკაციური პრეპარატების გამოყენებით, პათოგენეზურ-სიმპტომურ მედიკამენტებთან ერთად. ლეტალურ გამოსავალს ადგილი არ ჰქონია. სტაციონარიდან განერის შემდეგ ხანდაზმული პაციენტები პრემორბიდული სტატუსის გაუარესების გამო საჭიროებდნენ სპეციალისტების გაძლიერებულ, ამბულატორიულ მეთვალყურეობას. პაციენტთა ეპიდემიოლოგიური ანამნეზიდან ირკვეოდა, რომ დაავადების დანყებას, მხოლოდ 1/3 შემთხვევაში, წინ უძღოდა ოჯახური კონტაქტი დიარეული სინდრომით დაავადებულ ბავშვთან. უმეტესად პაციენტები დაავადების დანყებას უკავშირებდნენ საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე შეძენილი საკვები პროდუქტების მიღებას (ხორცის, თევზის პროდუქცია, ბოსტნეულის სალათები, საკონდიტრო ნაწარმი). ასეთ შემთხვევაში დაავადების ინკუბაციური პერიოდი 24 საათამდე იყო, რაც კლინიკურად საკვებისმიერი ინტოქსიკაციის იმიტაციას იძლეოდა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მწვავე ინფექციური დიარეების ეტიოლოგიურ სტრუქტურაში როტავირუსებს არანაკლები ადგილი ენიჭებათ ბაქტერიულ პათოგენების მსგავსად. როტავირუსული გასტროენტერიტების სპორადული შემთხვევების რეგისტრირება დამახასიათებელია წლის ცივ პერიოდში და პრევალირებს საშუალო სიმძიმის ფორმებით მიმდინარეობა, რომელთა კლინიკური დიფერენცირება საკვებისმიერ ინტოქსიკაციასთან გაძნელებულია ეპიდემიოლოგიური მსგავსების გამო. დე-

ჰიდრატაციული და ინტოქსიკაციის სინდრომების გახანგრძლივებით განპირობებული მძიმე მიმდინარეობა ხანდაზმული ასაკის პაციენტებში იწვევდა პრემორბიდული ფონის დამძიმებას და ქრონიკული დაავადებების სტატუსის გაუარესებას, რაც მათი ჯანმრთელობის შემდგომი სერიოზული გაუარესების მიზეზი იყო.

ლიტერატურა:

1. The Etiology of Severe Acute Gastroenteritis Among Adults Visiting Emergency Departments in the United States; The Journal of Infectious Diseases 205(9):1374-81
2. Characterising the etiology of severe acute gastroenteritis among patients visiting a hospital in Qatar using real-time polymerase chain reaction; Asma Al-Thani Email author, Baris, Najah Al-Lawati and Said Al-Dhahry; BMC Infectious Diseases 2013 13:; <https://doi.org/10.1186/1471-2334-13-329>; Al-thani et al.; licensee BioMed Central Ltd. 2013
3. Norovirus Infection in Older Adults Epidemiology, Risk Factors, and Opportunities for Prevention and Control Cristina V. Cardemil, MD, MPH, Umesh D. Parashar, MBBS, MPH, Aron J. Hall, DVM, MSPH; Infect Dis Clin N Am 31 (2017) 839-870
4. Rotavirus infection in adults; Evan J Anderson and Stephen G Weber; THE LANCET Infectious Diseases Vol 4 February 2004

Short Scientific Review

Vashakidze E., Megrelishvili T., Kipiani N., Mikadze I., Pachkoria E.

VIRAL GASTROENTERITIS IN ADULTS

TSMU, DEPARTMENT OF INFECTIOUS DISEASE

Rotaviral gastroenteritis registered in adults as sporadic cases in the cold period of the year. The course of the diseases is moderate. Commonly, because of the similar epidemiological features, providing differential diagnosis with food poisoning is difficult. Thus, diagnosis requires identification of antigen in stools by specific chromatographic method. In advanced age patients there is deterioration of the status of premorbid chronic diseases.

ვაშაკიძე ე., მოისნრაფიშვილი მ., გეგეშიძე თ., ყიფიანი ნ.

**ღვიძლის ცხიმოვანი დაავადება C
ჰეპატიტით დაავადებულ პაციენტებში
პირდაპირი ანტივირუსული პრეპარატებით
მიღწეული მყარი ვირუსული პასუსის
შემდეგ**

თსუ, ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტი

სიმსუქნისა და ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის მზარდი ეპიდემიის პირობებში ღვიძლის ცხიმოვანი დაავადების პრევალენტობამ მსოფლიოში 25.24%-ს მი-